

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა
გეოგრაფიის დეპარტამენტი
ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი
საქართველოს ალექსანდრე ჯავახიშვილის სახელობის
გეოგრაფიული საზოგადოება

IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
NATIONAL SCIENTIFIC LIBRARY
DEPARTMENT OF GEOGRAPHY
VAKHUSHTI BAGRATIONI INSTITUTE OF GEOGRAPHY
ALEXANDRE JAVAKHISHVILI GEOGRAPHICAL SOCIETY OF
GEORGIA



ბიობიბლიოგრაფიული სერია „ქართველი მეცნიერები“
Biobibliographical Series “Georgian Scholars”

Alexandre Javakhishvili

(1875-1973)

Biobibliography

Tbilisi
2015

ალექსანდრე ჯავახიშვილი

(1875-1973)

ბიობიბლიოგრაფია

თბილისი
2015

012(ჯავახიშვილი, ალ.)+016:91

ჯავ 14

გამოჩენილი ქართველი გეოგრაფის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, პირველი ქართული უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებლის, პროფესორ ალექსანდრე ჯავახიშვილის დაბადების 140 წლისთავთან დაკავშირებით ხელმოწერად გამოიცა მე-2 შეცვებული და გადამუშავებული ბიობილიოგრაფია. ალექსანდრე ჯავახიშვილის ბიობილიოგრაფია პირველად გამოიცა 1984 წელს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის მიერ, სერიით „ქართველი მეცნიერები“.

წინამდებარე ნაშრომში თავმოყრილია 1896-2015 წლების მასალა: სამეცნიერო შრომები, რუკები, სამეცნიერო-პოპულარული სტატიები, მისი რედაქციით და რეცენზიით გამოცემული შრომები, ლიტერატურა მის შესახებ და საიუბილეო თარიღები.

მასალა განლაგებულია ქრონოლოგიურ-ანბანური რიგით. ბიობილიოგრაფიას წინ უძღვის ალექსანდრე ჯავახიშვილის სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მიმოხილვა, ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი თარიღები. ერთვის სახელთა ანბანური საძიებელი.

აღნიშნულ გამოცემაში მონაწილეობდნენ თსუ გეოგრაფიის დეპარტამენტის სტუდენტები.

To celebrate the 140th anniversary of Professor Alexandre Javakhishvili, a famous Georgian geographer, academician of the Academy of Science of Georgia, merited Georgian scientist and one of the founders of the first Georgian University, the second completed and revised bio-bibliography was published repeatedly. The bio-bibliography of Alexandre Javakhishvili was first published in 1984 by the Central Scientific Library of the Academy of Science of the Georgian SSR, with series “Georgian scientists”.

The present work incorporates the materials available from 1896 to 2015: the scientific works, maps, scientific-popular literature, works edited and reviewed by Alexandre Javakhishvili, literary works about him and jubilee dates.

The material is classified in the chronological and alphabetic order. The bio-bibliography is preceded by the description of Alexandre Javakhishvili's scientific and public work and principal dates in his life and work. The bio-bibliography incorporates the alphabetical index of names.

The publication was prepared with the contribution of the students of TSU Department of Geography.

რედაქტორი: **კობა ხარაძე, დალი ნოკოლაიშვილი**

ბიბლიოგრაფიული რედაქტორი **ნანა ბალათურია**

შემდგენელი **ია დულუჩავა, მარიკა ჟორჯოლიანი**

კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ქეთევან მგალობლიშვილი, ელენე სალუქვაძე, თინიკო ნანობაშვილი**

თარგმანი **ნინო ჩიხრაძე**

დამკაზადონებელი **ნათია დვალაი**

გარეკანის დიზაინი **ნინო ხოსრუაშვილი, ნინო ებრაღიძე**

©ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

©Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ISBN

ISSN 2298-0059



შინაარსი - Contents

ალექსანდრე ჯავახიშვილი (სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა)	9
Alexander N. Javakhishvili. Review of his Scientific, Academic and Public Activities.....	23
ალექსანდრე ჯავახიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი თარიღები	35
Principal dates of life and work of Alexandre Javakhishvili	46
ალექსანდრე ჯავახიშვილის შრომები	53
Alexandre Javakhishvili's Works.....	53
ალექსანდრე ჯავახიშვილის რედაქციით გამოცემული შრომები	97
Works Edited by Alexandre Javakhishvili	97
ლიტერატურა ალექსანდრე ჯავახიშვილის შესახებ	114
Publications about Alexandre Javakhishvili	114
საიუბილეო თარიღები	155
Jubilee Dates	155
სახელთა საძიებელი.....	163
Указатель имён	163

ალექსანდრე ჯავახიშვილი (სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა)

გეოგრაფიული მეცნიერებისა და განათლების არნახული ტემპით განვითარება საქართველოში მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების შემდეგ დაიწყო. გეოგრაფიული მეცნიერებისა და განათლების ამ აღორძინებასთან ორგანულადაა დაკავშირებული გამოჩენილი მეცნიერის, პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის ალექსანდრე ჯავახიშვილის სახელი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, სსრ კავშირის გეოგრაფიული საზოგადოების საპატიო წევრი, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ალექსანდრე ჯავახიშვილი საბჭოთა კავშირის უხუცეს გეოგრაფთა და ანთროპოლოგთა პლეადას ეკუთვნოდა. იგი არის საქართველოში გეოგრაფიული მეცნიერების ფუძემდებელი.

ალ. ჯავახიშვილის სამეცნიერო გამოკვლევებმა შუქი მოჰფინა საქართველოსა და კავკასიის თანამედროვე მოსახლეობის ანთროპოლოგიის კარდინალურ პრობლემებს; თავისი შრომებით მოიცვა კავკასიისა და საქართველოს თითქმის მთელი გეოგრაფია – გეომორფოლოგია, კლიმატოლოგია, ეკონომიკური გეოგრაფია, კარტოგრაფია, ქვეყანათმცოდნეობა და ლანდშაფტმცოდნეობა; ჩასწვდა საქართველოში გეოგრაფიული მეცნიერების ისტორიის საკითხებსაც.

თეორიული გამოკვლევებით მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საბჭოურ გეოგრაფიულ მეცნიერებაში. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს მისი შრომები, დაწერილი გეოგრაფიული მეცნიერების სტრუქტურაზე, ამ მეცნიერების მომიჯნავე მეცნიერებებთან დამოკიდებულებების ახსნაზე და თვით გეოგრაფიის შემადგენელი დარგების ამოცანების გაშუქებასა და მომავალი გზების დასახვაზე.

არანაკლებ ღირსშესანიშნავია ალ. ჯავახიშვილის პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა.

როგორც ორგანიზატორი, იგი ძალისხმევას არ იშურებდა შეექმნა რიგი ფაკულტეტებისა თბილისის უნივერსიტეტის გეოგრაფიულ დეპარტამენტში, სადაც იგი ამზადებდა მომავალ მკვლევარებს. უფრო მეტიც, მისი ბრწყინვალე შესაძლებლობები, როგორც სამეცნიერო ორგანიზატორისა, კვლავ ვლინდება, როცა მან შექმნა გეოგრაფიის ინსტიტუტი, კვლევის ცენტრი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეგიდით: მისვე ინიციატივით ინსტიტუტს ეწოდა მე-18 საუკუნის ცნობილი ქართველი მოაზროვნისა და გეოგრაფის ვახუშტი ბაგრატიონის სახელი. პროფესორი ალ. ჯავახიშვილი იყო საქართველოს სსრ გეოგრაფიული საზოგადოების ვირტუალური დამფუძნებელი, რომლის ხელმძღვანელადაც დარჩა თითქმის ცხოვრების ბოლო წლებამდე.

ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ჯავახიშვილი დაიბადა 1875 წლის 5 (17) აგვისტოს ქ. გორში, მოსამსახურის ოჯახში.

ალ. ჯავახიშვილმა პირველდაწყებითი სწავლა-განათლება თბილისის სათავადაზნაურო ვაჟთა სასწავლებელში მიიღო, რომლის დამთავრების შემდეგ, 1887 წელს, იგი თბილისის ვაჟთა მეორე კლასიკურ გიმნაზიაში მიაბარეს; გიმნაზია 1895 წელს წარჩინებით (ვერცხლის მედლით) დაამთავრა და მოსკოვის უნივერსიტეტში სახელმწიფოს ხარჯზე სწავლის გაგრძელების უფლება მოიპოვა.

1895 წელს ალ. ჯავახიშვილი მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილებაზე შედის, რომელსაც 1900 წელს პირველი ხარისხის დიპლომით ამთავრებს და ტოვებენ სამეცნიერო მოღვაწეობისათვის მოსამზადებლად.

ალექსანდრე ჯავახიშვილი თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის პირველ ორ ათეულ წელს (1917 წლამდე) მოსკოვში ატარებს და

უმთავრესად საქართველოსა და კავკასიის ხალხთა ანთროპოლოგიის სადავო და ნაკლებად ცნობილ საკითხებს იკვლევს; ამ საკითხების შესწავლას კი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ისტორიის, ურთიერთ დამოკიდებულებისა და ნათესაობის გადაუწყვეტელი ან წყვილიდით მოსილი საკითხების გამოსარკვევად.

საქართველოსა და კავკასიის თანამედროვე მოსახლეობის ფიზიკური და ანთროპოლოგიური შედგენილობის შესწავლას, ამ მოსახლეობის შემადგენელი ანთროპოლოგიური ტიპებისა და ჯგუფების წარმოშობის გაშუქებას და მსოფლიო ხალხთა ანთროპოლოგიურ ტიპებთან და ჯგუფებთან მათი დამოკიდებულების საკითხების გარკვევას ალ. ჯავახიშვილი იწყებს საქართველოს გულის – ქართლის ქართველების შესწავლით. ამ მიზნით იგი 1903 და 1904 წლების ზაფხულის თვეებში ანთროპოლოგიურ კვლევა-ძიებას ეწევა ქართლში.

შემდგომ წლებში ალ. ჯავახიშვილი ანთროპოლოგიურ დაკვირვებებს აგრძელებს საქართველოს დანარჩენ კუთხეებში: 1905 წელს – კახეთსა და მთიულეთში, 1908 წელს – იმერეთსა და რაჭაში, 1909 წელს – გურიაში, 1911 წელს – სამეგრელოში. თითოეულ ამ კუთხეში ალ. ჯავახიშვილმა ას-ასი ცდის პირი შეისწავლა. სულ საქართველოში 900 პირი შეისწავლა, რომელთა შესახებ ას-ასი ზომითი მონაცემი აქვს აღებული. ამ მონაცემებს, მაშინდელი მათი პირდაპირი დანიშნულების გარდა, დღესაც დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთი პრობლემის გასარკვევად, როგორცაა ადამიანთა განსაკუთრებული დიდსიმადლიანობა (გიგანტიზმი) მსოფლიოს ხალხთა, კერძოდ, ქართველთა შორის.

საქართველოს ცალკეული მხარეების ქართველების ანთროპოლოგიური დახასიათებისადმი მიძღვნილ სტატიებში, აგრეთვე, შემაჯამებელი მონოგრაფიების პირველ თავებში, იმდროინდელი მსგავსი ნაშრომებისაგან განსხვავებით, ალ. ჯავახიშვილი იძლევა საკმაოდ ღრმა და საფუძვლიან გეოგრაფიულ, ისტორიულ და ეთნოგრაფიულ დახასიათებას.

აღ. ჯავახიშვილის ანთროპოლოგიური შრომების მაღალმეცნიერულ ღირებულებაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ საქართველოს ანთროპოლოგიის ორ მონოგრაფიას (საქართველოს ანთროპოლოგია, ტ. I: „ქართლისა და კახეთის ქართველები“ და ტ. II: „იმერეთის, გურიისა და რაჭის ქართველები“), მოსკოვის უნივერსიტეტთან არსებულმა ბუნებისმეტყველების, ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის მოყვარულთა საზოგადოებამ უმაღლესი სამეცნიერო ჯილდო – პროფესორ ა. პ. რასცვეტოვის პრემიები მიანიჭა 1906 და 1912 წლებში, როგორც ძვირფასი შენამძენი კავკასიის ანთროპოლოგიაში და რომელიც გამოირჩევა მასში მოყვანილი მონაცემების სიუხვით, დეტალური დამუშავებითა და მაღალი მეცნიერული დონით.

აღ. ჯავახიშვილის გამოკვლევებით დადასტურდა, რომ ქართლის, კახეთის, მთიულეთის, იმერეთის, რაჭის, გურიისა და სამეგრელოს ქართველები ერთმანეთთან ანთროპოლოგიური ნიშნების მიხედვით დიდ მსგავსებას ამჟღავნებენ, განსხვავებანი კი უმნიშვნელოა, ამასთან, ქართველები ადგილობრივ, ავტოქტონურ მოსახლეობას წარმოადგენენ კავკასიაში.

ამავე პერიოდში აღ. ჯავახიშვილი მუშაობს საქართველოს ანთროპოლოგიის ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიცაა დოლიქოკეფალია ქართველთა შორის.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია აღ. ჯავახიშვილის შრომა კავკასიის ებრაელების შესახებ. აღსანიშნავია აღ. ჯავახიშვილის დასაბუთებული დებულება, რომ არ არსებობს კავკასიელი, მათ შორის ქართველი ებრაელების ცალკე ანთროპოლოგიური ჯგუფი, რაც დადასტურებას პოულობს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების შრომებში.

ყურადღებას იპყრობს აღ. ჯავახიშვილის მიერ შედგენილი რეცენზიები უცხოელ მკვლევართა ანთროპოლოგიურ ნაშრომებზე, სახელდობრ: ადოლფ დირის, ჰანს ვირხოვის, თ. კლუგეს, მუსკატის,

ფელიქს ფონ ლუშანის, ჰანს ფელინგერის, ოტო აიხელისა და ო. შლაგინჰაუფენის ნაშრომებზე.

შემდგომ წლებში ალ. ჯავახიშვილის კვლევა-ძიება სცილდება საქართველოს ფარგლებს და სწავლობს კავკასიის თანამედროვე მოსახლეობის ანთროპოლოგიას. ამასთან დაკავშირებით, 1913 წელს ალ. ჯავახიშვილი მოხსენებით გამოდის რუს ბუნებისმეტყველთა და ექიმთა მე-13 ყრილობაზე თბილისში კავკასიის ანთროპოლოგიის მორიგი ამოცანების შესახებ. ეს მიზანდასახული კვლევა კავკასიის თანამედროვე მოსახლეობის ანთროპოლოგიის შესახებ ალ. ჯავახიშვილმა კაპიტალური მონოგრაფიის შედგენით დაავგორგვინა. ამ მონოგრაფიაში დასაბუთებული ზოგიერთი შედეგი გამოქვეყნდა 1923-1926 წლებში ქართულ და გერმანულ ენებზე. ამ წლებში გამოქვეყნებულ სტატიებში ალ. ჯავახიშვილი ახასიათებს აგრეთვე კავკასიის ტერიტორიაზე მცხოვრებ ირანულ, სლავურ და მონღოლურ მოდემებს და არკვევს მათ დამოკიდებულებას კავკასიურთან.

ალ. ჯავახიშვილის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა მოსკოვიდან საქართველოში გადმოსვლის შემდეგ (1917 წლიდან) უმთავრესად მიმდინარეობდა საქართველოსა და კავკასიის მრავალფეროვანი ბუნებისა და ნაწილობრივ, მისი მოსახლეობის გეოგრაფიის მიმართებით.

1926 წლიდან იგი საქართველოსა და კავკასიის მოსახლეობისა და დასახლებათა გეოგრაფიულ განლაგებას იკვლევს. ამ პრობლემის გაშუქებას გარდა თეორიულისა, პრაქტიკული მნიშვნელობაც ჰქონდა.

ალ. ჯავახიშვილის მეცნიერულ მოღვაწეობაში ცენტრალური ადგილი საქართველოს ტერიტორიის გეომორფოლოგიურ შესწავლას უჭირავს. საქართველოს ტერიტორიის გეომორფოლოგიური შესწავლის პირველ ეტაპზე საჭირო იყო საქართველოს ზოგადი გეომორფოლოგიური დახასიათების შედგენა, რაც ალ. ჯავახიშვილმა 1926 წელს შეასრულა. ამ

მიმართულებით მისი შემოქმედებითი აღმავლობის მაჩვენებელია 1947 წელს გამოქვეყნებული ახალი მონოგრაფია. ამ ნაშრომში დადგენილია საქართველოს რელიეფის გენეტიკური ტიპები და მოცემულია მათი გავრცელების რეგიონები. ამ მხრივ, იგი საბჭოთა კავშირში ერთ-ერთ პირველ ცდას წარმოადგენს. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს კაპიტალური შრომა მეთოდური თვალსაზრისით იმდენად მაღალ დონეზეა შესრულებული, რომ იგი სცილდება რეგიონალურ გამოკვლევათა მასშტაბს და ასახავს ფიზიკური გეოგრაფიის ამ დარგის – გეომორფოლოგიის – მდგომარეობას და მის მიღწევებს საბჭოთა კავშირში.

საქართველოს სსრ ტერიტორიის გეომორფოლოგიური შესწავლა მოითხოვდა ზოგადი გეომორფოლოგიის უმნიშვნელოვანესი საკითხების დამუშავებას, მითუმეტეს, რომ მრავალი მეთოდური ასპექტი მთელს საბჭოთა კავშირში ჯერ კიდევ დაუდგენელი იყო. ალ. ჯავახიშვილმა მრავალი შრომა უძღვნა ზოგადი გეომორფოლოგიის კარდინალურ საკითხებს. ალ. ჯავახიშვილმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მთიანი ქვეყნების გეომორფოლოგიური შესწავლის საკითხების დამუშავებაში, რასაც მრავალი ნაშრომი უძღვნა.

ალ. ჯავახიშვილის სამეცნიერო-კვლევით მოღვაწეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კარტოგრაფიულ გამოკვლევებს. ამ საკითხზე მუშაობა მას მოუხდა საქართველოს გეოგრაფიული პრობლემების დამუშავებასთან დაკავშირებით, აგრეთვე უმაღლეს და საშუალო სკოლების სახელმძღვანელოებზე მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით.

ამ უკანასკნელ წლებში ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის თაოსნობით განხორციელდა ისეთი საშვილიშვილო მეცნიერული და კულტურული ღონისძიება, როგორცაა საქართველოს გეოგრაფიული ატლასის შედგენა-გამოცემა ქართულ და რუსულ ენებზე. ეს ატლასი პირველი კომპლექსური გეოგრაფიული, კერძოდ, კარტოგრაფიული ნაწარმოებებია და აღნიშნავს მისი განვითარების მნიშვნელოვან ეტაპს. ამ ატლასის

შედგენა ალ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის დაარსებიდანვე, 1945 წლიდან, დაიწყო. ამ ატლასის შემქმნელ კოლექტივს, მათ შორის, ალ. ჯავახიშვილს საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემია მიენიჭა 1971 წელს.

ალ. ჯავახიშვილის რამდენიმე ნაშრომი ეხება საქართველოს სსრ ფიზიკურ და ეკონომიურ გეოგრაფიულ კომპლექსურ საკითხებს. ამა თუ იმ ქვეყნის ფიზიკურ-გეოგრაფიულ და ეკონომიურ-გეოგრაფიულ კომპლექსურ შესწავლასთან ორგანულადაა დაკავშირებული ქვეყნის ლანდშაფტმცოდნეობისადმი მიმართული კვლევა-ძიება. ამ მიმართულებით ალ. ჯავახიშვილი ჯერ კიდევ 1935 წელს ადგენს ლანდშაფტმცოდნეობის კურსის პროგრამას და კითხულობს ლექციებს თბილისის უნივერსიტეტში. გარდა ამისა, ქობულეთისა და მახარაძის რაიონების ლანდშაფტების დახასიათების მაგალითზე 1937-1938 წლებში იგი ქმნის რეგიონალურ კომპლექსურ კვლევა-ძიების ნიმუშებს ფიზიკურ გეოგრაფიაში.

ალ. ჯავახიშვილი მუშაობს აგრეთვე საქართველოს ფიზ-გეოგრაფიული (ლანდშაფტური) შრომების შედგენაზე, რომელიც მეტად საინტერესოა არა მარტო როგორც საქართველოს ბუნებრივი ლანდშაფტების დახასიათების ნაყოფიერი ცდა, არამედ მეთოდოლოგიურადაც.

ალ. ჯავახიშვილი ამუშავებს აგრეთვე ისეთ მნიშვნელოვან საკითხსაც, როგორცაა ლანდშაფტების ტიპების კლასიფიკაცია. ამასთანავე გამოჰყოფს ბუნებრივ (ფიზიკურ-გეოგრაფიულ) და რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, კულტურულ (სოციალურ-ეკონომიურ) ლანდშაფტების ტიპების ჯგუფებს, ამ უკანასკნელში ანსხვავებს ელემენტარულ და სინთეზურ ტიპებს.

გეოგრაფიული მეცნიერების ცალკეულ დარგების გარდა, ალ. ჯავახიშვილი სამეცნიერო კვლევას ეწეოდა გეოგრაფიული მეცნიერების თეორიის საკითხებზეც; მაგალითად, გეოგრაფიული

მეცნიერების სტრუქტურა და სხვა. იგი აგრეთვე აშუქებს ფიზიკური გეოგრაფიის დარგების – გეომორფოლოგიის, კლიმატოლოგიის, ხმელეთის ჰიდროლოგიის, ოკეანოგრაფიის, ფიზიკური ქვეყანათმცოდნეობისა და სხვ. – დამოკიდებულებას მეზობელ საბუნებისმეტყველო დისციპლინებთან და ზუსტად საზღვრავს მათ საგანსა და ამოცანას. ალ. ჯავახიშვილი განსაკუთრებით ჩერდება ეკონომიური გეოგრაფიის გეოგრაფიულ მეცნიერებათა სისტემაში შემავალი დარგის დახასიათებაზე; ამასთან, არკვევს კარტოგრაფიის ადგილს გეოგრაფიულ მეცნიერებაში. დასასრულ, ალ. ჯავახიშვილი ადგენს გეოგრაფიული მეცნიერების სტრუქტურის სქემას, მისი განვითარების თანამედროვე და აგრეთვე მომავალი ეტაპებისათვის.

საქართველოს სსრ ტერიტორიის ბუნების გეოგრაფიის შესწავლა გაცხოველდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, რაც გეოგრაფიული მეცნიერების ცალკეული დარგის მკვლევართა წინაშე აყენებდა გადაუდებელ საკითხს – ამ ტერიტორიის ბუნების გეოგრაფიული შესწავლილობის გამოვლენას. ამავე დროს საჭირო იყო საქართველოს სსრ გეოგრაფიული მეცნიერების განვითარების ისტორიის ჩვენებაც. ამასთან დაკავშირებით ალ. ჯავახიშვილი 1941-1961 წლებში აქვეყნებს რამდენიმე გამოკვლევას.

საქართველოს ტერიტორიის გეოგრაფიული შესწავლილობისა და გეოგრაფიული მეცნიერების განვითარების საკითხების დამუშავებისათვის საჭირო იყო ქართველი ხალხის გეოგრაფიული მემკვიდრეობის გამომზეურება. ამ მხრივ აღსანიშნავია ალ. ჯავახიშვილის შრომები ვახუშტი ბაგრატიონის შესახებ. ალ. ჯავახიშვილის შეფასებით ვახუშტის ნაშრომთა სამეცნიერო მნიშვნელობა საერთოდ იმაში მდგომარეობს, რომ იგი ქვეყნის გეოგრაფიული აღწერის – ქვეყანათმცოდნეობითი ხასიათის გამოკვლევის იშვიათი ნიმუშია მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში, რომელიც აგებულია გარკვეული ერთიანი მეცნიერული თვალსაზრისით – გეოგრაფიული მიზანდასახულობით; იგი აღნიშნავს აგრეთვე ვახუშტის გეოგრაფიული ნაშრომების საზოგადოებრივ მნიშვნელობასაც.

წარსულ გეოგრაფიულ მემკვიდრეობაზე ზრუნვა ალ. ჯავახიშვილის მიერ სხვა მკვლევარების შრომების რედაქციაშიც გამოიხატება.

ალ. ჯავახიშვილის შემოქმედებით მუშაობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს აგრეთვე პედაგოგიურ მოღვაწეობას. მოსკოვის უნივერსიტეტის დამთავრებამდე, 1899 წელს იგი პედაგოგიურ მოღვაწეობას იწყებს ამავე უნივერსიტეტის არაორგანული ქიმიის კათედრაზე, ჯერ ლაბორანტად, ხოლო შემდეგ ასისტენტად: 1900-1917 წლებში მოსკოვის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში თანამშრომლობს პრიატ-დოცენტად; 1917 წელს კი მოსკოვის ქალთა უმაღლეს კურსებზე კითხულობს ანთროპოლოგიის კურსს. მოსკოვის უმაღლეს სასწავლებლებში ალ. ჯავახიშვილი მნიშვნელოვან სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას კარგად უთავსებს ერთმანეთთან. ამასთან, იგი დიდ სიყვარულსა და პატივისცემას იხვეჭს როგორც სტუდენტებში, ისე პროფესორ-მასწავლებლებში.

1900-1917 წლებში ალ. ჯავახიშვილის სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის დასახასიათებლად მხოლოდ ერთ მაგალითზე შევჩერდებით. 1903-1904 წლების მიჯნაზე დეკემბერ-იანვარში, პეტერბურგში რუსეთის ტექნიკური საზოგადოების ინიციატივით მოეწყო ტექნიკური და პროფესიონალური განათლების რუს მოღვაწეთა მე-3 ყრილობა. ალ. ჯავახიშვილმა ამ ყრილობის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღო და წაიკითხა საპროგრამო მოხსენებები საბუნებისმეტყველო საგნების თეორიული და პრაქტიკულ მეცადინეობათა დაყენების შესახებ კომერციულ სასწავლებლებში და სამუშაო პედაგოგიური კაბინეტების მოწყობის საკითხზე, რომლებიც შემდეგ ამ ყრილობის შრომებში გამოქვეყნდა.

ალ. ჯავახიშვილს განსაკუთრებით აღელვებდა ჩვენში პირველდაწყებითი სწავლებისა და სასწავლებლების სავალალო მდგომარეობა, რასაც 1908 წელს სპეციალურ სტატის უძღვნის.

1917 წლის გაზაფხულზე, მოსკოვიდან თბილისში გადმოსვლასთან დაკავშირებით, ალექსანდრე ჯავახიშვილი ნაყოფიერ სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა საქართველოში (ძირითადად თბილისში, აგრეთვე ნაწილობრივ სხვადასხვა დროს ქუთაისში, ბათუმსა და გორში) და ამიერკავკასიის რესპუბლიკებში (აზერბაიჯანსა და სომხეთში). ალ. ჯავახიშვილი 1917-1920 წლებში მუშაობს თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჯერ დოცენტის, შემდეგ კი ექსტრაორდინარული პროფესორის თანამდებობაზე. აქ იგი აწყოფს გეოგრაფიის კათედრას და კითხულობს ლექციებს ზოგად ფიზიკურ გეოგრაფიასა და ამიერკავკასიის გეოგრაფიაში.

1920 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭო ალ. ჯავახიშვილს იწვევს ახლად დაარსებული გეოგრაფიისა და ანთროპოლოგიის კათედრის პროფესორის თანამდებობაზე და მასვე ავალებს ამ კათედრის გამგეობას. მას შემდეგ ალ. ჯავახიშვილის სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა ძირითადად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარეობდა.

ალ. ჯავახიშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სხვადასხვა დროს კითხულობს გეოგრაფიული მეცნიერების დისციპლინებს: ზოგად ფიზიკურ გეოგრაფიას, ზოგად გეომორფოლოგიას, ზოგად კლიმატოლოგიას, საქართველოს გეომორფოლოგიას, გეომორფოლოგიური კვლევის მეთოდებს, გეომორფოლოგიური კარტირების კურსს, საქართველოს ფიზიკურ გეოგრაფიას, ზოგად ლანდშაფტმცოდნეობას, სამხედრო გეოგრაფიას, გეოგრაფიის სწავლების მეთოდიკას, აგრეთვე ზოგად ფიზიკურ ანთროპოლოგიას და სხვ. ამ კურსების კითხვასთან დაკავშირებით იგი ხშირად თვითონვე საზღვრავდა მათ ამოცანებს და ადგენდა პროგრამებს.

ალ. ჯავახიშვილის აზრით, გეოგრაფიული დისციპლინების სწავლება უმაღლეს სასწავლებლებში შეთანხმებული უნდა იყოს ამ მეცნიერების განვითარების თანამედროვე დონესთან. ამასთან დაკავშირებით, იგი დროდადრო აღნიშნული კურსების პროგრამების კრიტიკულ გადასინჯვასა და განახლებას ახდენდა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ალ. ჯავახიშვილის დამსახურება თბილისის უნივერსიტეტში გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე გეომორფოლოგიური და კარტოგრაფიული სპეციალობების ჩამოყალიბების თაობაზე.

ალ. ჯავახიშვილის სამეცნიერო - პედაგოგიური მოღვაწეობა მარტო სტუდენტებთან მუშაობით როდი განისაზღვრება. იგი 1929 წლიდან ხელმძღვანელობს გეოგრაფიის სპეციალობის ასპირანტთა მომზადებას გეომორფოლოგიის, კლიმატოლოგიის, ფიზიკური ქვეყანათმცოდნეობის, ლანდშაფტმცოდნეობისა და კარტოგრაფიის სპეციალობებში. იგი აგრეთვე ხელმძღვანელობს სომხეთის, აზერბაიჯანისა და დაღესტნის სამეცნიერო დაწესებულებებიდან მოვლენილ თანამშრომლებს, კონსულტაციებს უწევს მეცნიერ მუშაკებს სადისერტაციო შრომების შესრულებაში.

ალ. ჯავახიშვილი მუდმივად ზრუნავდა საშუალო სკოლების უზრუნველყოფაზე გეოგრაფიული სახელმძღვანელოებით, რუკებითა და სავარჯიშო რვეულებით. როგორც საკუთარი წვლილი ამაში, მან დაწერა წიგნი - საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია. ეს წიგნი ითარგმნა სხვა ენებზე და გამოდის ყოველ წელს ქართულად, რუსულად, სომხურად და აზერბაიჯანულად.

ალ. ჯავახიშვილი მეცნიერთა იმ პლეადას ეკუთვნის, რომლებიც სამეცნიერო-კვლევით და პედაგოგიურ მოღვაწეობას დიდად მნიშვნელოვან, საჭირო, სასარგებლო და ნაყოფიერ სამეცნიერო-ორგანიზაციულ და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობასთან ახამებდნენ. ამგვარ მუშაობას ეწეოდა იგი როგორც მოსკოვში, ისე საქართველოში. იგი მოსკოვში მუშაობის პერიოდში საქართველოში არსებულ სამეცნიერო საზოგადოების დავალებას ასრულებდა; ალ. ჯავახიშვილი მრავალი სამეცნიერო ყრილობის, სიმპოზიუმების, თათბირებისა და კონფერენციების მუშაობის მონაწილეა.

ალ. ჯავახიშვილი ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების დაარსების ერთ-ერთი ინიციატორია, როგორც

წლების მანძილზე მისი გამგეობის წევრიცაა და აქტიურად მონაწილეობდა ამ საზოგადოების მუშაობაში 1916 წლიდან.

ალ. ჯავახიშვილს დიდი ღვაწლი მიუძღვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების საქმეში გ. ღამბარაშვილთან, ივ. ჯავახიშვილთან, ი. ყიფშიძესთან, პ. მელიქიშვილთან, ი. იმედაძესთან, ე. თაყაიშვილთან ერთად – იგი თბილისის სახ. უნივერსიტეტის ერთ-ერთი ფუძემდებელთაგანია.

ალ. ჯავახიშვილმა დიდი მუშაობა გასწია საქართველოს სსრ გეოგრაფიული საზოგადოების დაარსებისათვის. საქართველოს სსრ გეოგრაფიული საზოგადოების დაარსების რეალური პირობები საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შეიქმნა და ალ. ჯავახიშვილის ინიციატივით კიდევ დაარსდა იგი 1924 წელს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გეოგრაფიული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, უმაღლესი და საშუალო პედაგოგიური განათლების სწრაფი წინსვლა მოითხოვდა კარტოგრაფიული საქმის ორგანიზაციას. ეს საკითხი საქართველოში პირველად დაისვა 1921 წელს თბილისის უნივერსიტეტის გეოგრაფიისა და ანთროპოლოგიის კათედრაზე. სწორედ აქ ჩაეყარა საფუძველი ამ საქმეს. შემდეგ ეს მუშაობა გაიშალა საქართველოს სსრ გეოგრაფიულ საზოგადოებაში, სადაც ჩამოყალიბდა ჯერ კარტოგრაფიული კაბინეტი, შემდეგ კი დამოუკიდებელი საქართველოს კარტოგრაფიის ინსტიტუტი, რომელიც შემდეგ თბილისის უნივერსიტეტთან ორგანიზებულ გეოგრაფიის ინსტიტუტს შეუერთდა. 1933-1938 წლებში ალ. ჯავახიშვილი ხელმძღვანელობდა თბილისის უნივერსიტეტთან არსებული გეოგრაფიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მუშაობას, ხოლო 1945-1962 წლებში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტს, როგორც მათი დირექტორი, დაარსების ინიციატორი და ორგანიზატორი.

ალ. ჯავახიშვილის სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა წარმოადგენს კეთილსინდისიერი,

დადაბული, ტიტანური შემოქმედებითი მოღვაწეობის შესანიშნავ მაგალითს, ჩვენი ხალხისა და სამშობლოს საკეთილდღეოდ. მისი დიდი, ნაყოფიერი მოღვაწეობა სათანადოდ იყო და არის დაფასებული.

ალ. ჯავახიშვილი დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით, ორი შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლით „მამაცური შრომისათვის დიდ სამამულო ომში. 1941-1945 წწ“. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ იგი 1955 წელს დააჯილდოვა სამკერდე ნიშნით „სახალხო განათლების წარჩინებული“.

ალ. ჯავახიშვილმა განვლო ცხოვრებისა და მოღვაწეობის მეტად ნაყოფიერი გრძელი გზა. იგი გარდაიცვალა 1973 წლის 22 იანვარს, 98 წლის ასაკში. გეოგრაფიულმა საზოგადოებრიობამ, მისმა კოლეგებმა დაკარგეს ერუდირებული, ფართო დიაპაზონისა და დიდი გამოცდილების მეცნიერი; მრავალრიცხოვანმა მოწაფეებმა და სტუდენტებმა – შესანიშნავი პედაგოგი, ბრძენი მრჩეველი და აღმზრდელი, უსაზღვროდ მოსიყვარულე და სათნო ადამიანი.

პირადად ალ. ჯავახიშვილი იყო ძალიან მოკრძალებული და თავმდაბალი კაცი, მზად იყო შეხვედროდა ყველას, ვისაც მასთან შეხვედრა სურდა. მისი კაბინეტი გეოგრაფიის ინსტიტუტში (რომლის დირექტორიც ის იყო) ღია იყო ნებისმიერი კოლეგისათვის ნებისმიერ დროს, და ასევე, თბილისის უნივერსიტეტში მის სტუდენტებსა და ახალგაზრდა მკვლევარებს შეეძლოთ მიეღოთ მისი რჩევა და მეცნიერული კონსულტაცია გეოგრაფიულ ბიბლიოთეკაში (რომელიც ამჟამად მის სახელს ატარებს), სადაც მისი მაგიდა იდგა შეუმჩნეველ ადგილას დიდ სამკითხველო დარბაზში.

ალ. ჯავახიშვილის ჯანსაღი მსჯელობა და პირდაპირი ხასიათი იმსახურებდა ღრმა პატივისცემას. მიუხედავად მისი ასაკისა, ის იყო პროგრესულად მოაზროვნე და ნათლად ხედავდა გეოგრაფიული მეცნიერების მომავლის პერსპექტივებს.

აღ. ჯავახიშვილის მიერ მეცნიერების საკეთილდღეოდ ჩატარებული შრომა აღემატება ერთი ჩვეულებრივი მეცნიერის შესაძლებლობებს, ამიტომ, იგი ვახუშტი ბაგრატიონთან ერთად, შეიძლება ჩაითვალოს როგორც გეოგრაფიის დამფუძნებელი საქართველოში. მომავალი თაობები დააფასებენ მას ისევე, როგორც ჩვენ ვაფასებთ მას.

ქ. ყავრიშვილი
შ. ყიფიანი

Alexander N. Javakhishvili. Review of his Scientific, Academic and Public Activities

The establishment of Soviet Power in Georgia created favorable conditions for an unprecedented development of education and inter alia for the geographical science. The name of Alexander N. Javakhishvili is inseparably associated with this progress of the geographical science and education in general.

Academician of the Georgian SSR Academy of Sciences, Merited Scientist, honorary member of the USSR Geographical Society, winner of a State Prize of the Georgian SSR, Doctor of Geographical Sciences, Professor Alexander N. Javakhishvili was one of the oldest geographers and anthropologists in the Soviet Union. He is a founder of the science of geography in Georgia.

Scientific researches of Al. Javakhishvili clarified the cardinal problems of anthropology of the contemporary population of Georgia and Caucasus; his works covered almost the whole geography - geomorphology, climatology, economic geography, cartography, country-specific studies and the landscape science of Georgia; he studied the problems of the history of geographical science in Georgia. By theoretical works he made a significant contribution to Soviet geographical science; in this regard, the attention attracts his works written about the structure of the geographical science, the explanation of interrelations of this science to the adjacent sciences and about clarifying tasks of the fields composing Geography itself and to plan its future ways.

Al. Javakhishvili's pedagogical and social activities are no less remarkable. As an organizer, he spared no effort in the creation of a number of faculties in the Department of Geography of Tbilisi University, where he trained future researchers.

Moreover, his brilliant capacities as an organizer of science have been manifested, when he created the Institute of Geography, a research centre under the auspices of the Georgian Academy of Sciences: on his initiative the institute was named after Vakhushti Bagrationi, a prominent Georgian thinker and geographer of the 18th century. Prof. Al. Javakhishvili was the virtual founder of the Geographical Society of the Georgian SSR, at the head of which he remained almost to the very last years of his life.

Alexander N. Javakhishvili was born on August 5 (17 New Style), 1875, in the town of Gori, in the office worker's family.

Al. Javakhishvili began his schooling in Tbilisi at the Georgian Gymnasium for the Sons of the Gentry. Leaving the above school in 1887, he pursued his studies at the Second Classical Gymnasium for Boys in Tbilisi. In 1895 he completed the Gymnasium with honor (silver medal) and obtained the right to continue study at an expense of the State grant at Moscow University.

In 1895 Al. Javakhishvili became a student of the sub department of Natural Sciences of the Faculty of Physics and Mathematics of the Moscow State University, which he graduated from in 1900 with the first degree Diploma and was invited to stay there to be prepared for his scientific activity.

Al. Javakhishvili spends the first two decades of his scientific activity (to 1917) in Moscow and investigates controversial and less known problems of the anthropology mainly of the population of Georgia and Caucasus; and studying of these issues was of great importance for the investigation of unresolved or covered by darkness problems of the history of our country's population, their interdependence and relationship.

Al. Javakhishvili starts the study of the physical and the anthropological composition of contemporary population of Georgia and Caucasus, consideration of the genesis of the anthropological types and groups of the mentioned population and investigation of their relationship with the anthropological types and groups of the world population with the study

of Georgians of Kartli – the heart of Georgia. For this purpose he conducts the anthropological investigation in the Kartli region in the summer months of 1903 and 1904.

In the following years Al. Javakhishvili continues his anthropological observations in other regions of Georgia: in 1905 – in Kakheti and Mtiuleti, in 1908 – in Imereti and Racha, in 1909 – in Guria and in 1911 – in Samegrelo. In each of the regions Al. Javakhishvili studied per 100 sample persons. In a whole, he studied 900 persons in Georgia, on whom he has collected per 100 unit data. Except of their direct designation, these data are of great importance even today for clarification of the problem such as an excessive size (the gigantism) among the world population and namely, among the Georgians.

In the papers dedicated to the anthropological characteristics of Georgians of the different regions, as well as in the first chapter of the summarizing monographs, Al. Javakhishvili gives quite deep and grounded geographical, historical and ethnographical characteristics.

High scientific value of Al. Javakhishvili's anthropological works are testified by the fact that the two of his monographs “ On the “Anthropology of Georgia“ (Anthropology of Georgia, vol.1: „The Georgians of Kartli and Kakheti” and vol. 2: „The Georgians of Imereti, Guria and Racha”), received the highest scientific award – the Prof. A. P. Rastsvetov Prizes of the Society of Keens of Natural Sciences, Anthropology and Ethnography in 1906 and 1912, as a valuable contribution to the anthropology of Caucasus and which are distinguished by the abundance of data, their detail development and high scientific level.

Al. Javakhishvili's researches proved that the Georgians of Kartli, Kakheti, Mtiuleti, Imereti, Racha, Guria and Samegrelo show great similarities according to their anthropological features, with just a few minor differences between them and in addition, the Georgians belong to the autochthonous population of the Caucasus.

During the same period Al. Javakhishvili works on the important problem of anthropology such as dolichocephaly among the Georgians.

The works of Al. Javakhishvili devoted to the Caucasians Jews are of the exceptional interest. He suggested that there is no anthropological group of Caucasian Jews, including the separate group of Georgian Jews, that is proved in the works of the classics of Marxism-Leninism.

Al. Javakhishvili reviewed quite a number of publications on anthropology written by the foreign scholars, namely: Adolf Dirr, Hans Wirhoff, T. Kluge, Muskat, Felix von Luschan, Hans Felinger, Otto Eichel, Otto Schlaginhauffen, et al.

In the following years the investigation of Al. Javakhishvili goes beyond the boundaries of Georgia and he studies the anthropology of the contemporary population of the Caucasus. In this regard, he gives the Report at the 13th congress of Russian physicians and naturalists held in Tbilisi, where he outlined his plans regarding future tasks of the anthropology of the Caucasus. This purposeful investigation of contemporary population of the Caucasus was culminated by the publication of the comprehensive monograph. Some of the outcomes documented in this monograph were published in 1923-1926 in Georgian and German languages. In the papers published during these years Al. Javakhishvili characterizes also the Iranian, Slavic and Mongolian races and determines their relationship with the Caucasus one.

After moving (1917) from Moscow to Georgia the scientific-research work of Al. Javakhishvili was oriented mainly to the geography of the diverse nature of Georgia and Caucasus and partially to the geography of their population.

From 1926 he investigates the geographical distribution of population and settlements of Georgia and Caucasus. Consideration of this problem was both of theoretical and practical importance.

A central place in the Al. Javakhishvili's scientific activity occupies a geomorphological study of the territory of Georgia. It was necessary to write the general geomorphological characterization of Georgia at the first stage of the geomorphological study of the territory of Georgia, which was implemented by Al. Javakhishvili in 1926. An indicator of his creative growth is evident in the new monograph published in 1947. In this book the author first established the genetic types of the relief and the regions of their geographical distribution over Georgia's territory. In this regard it is one of the first attempts in the Soviet Union. It should be also noted that this comprehensive work has been performed at such a high level by methodological point of view that it goes beyond the scope of the regional research and reflects the condition of geomorphology – the field of physical geography and its achievements in the Soviet Union.

Geomorphological study of the territory of Georgian SSR required development of the most important issues of the general geomorphology, moreover, that many methodological aspects were still unidentified in the entire Soviet Union. Al. Javakhishvili dedicated many papers to the major issues of the general geomorphology. Al. Javakhishvili made a significant contribution to the development of issues to study the geomorphology of the mountainous countries and dedicated many works to it as well.

Cartographical surveys occupy the important place in the scientific-research activities of Al. Javakhishvili. He had to work on this problem in connection with the development of the geographical problems of Georgia, as well as to satisfy the demand on textbooks of high and secondary schools.

In recent years, under the leadership of the Institute of Geography of Vakhushti a glorious scientific and cultural event, such as the compilation of Geographical Atlas of Georgia in Georgian and Russian languages was carried out. This atlas is the first complex geographical, in particular, cartographical work and marks an important stage of its development. The compilation of this Atlas began from 1945, since the establishment of the

Institute of Geography by the leadership of Al. Javakhishvili. The Atlas creator staff, including Al. Javakhishvili, was awarded the Georgian SSR State Prize in 1971.

Several papers of Al. Javakhishvili deal with the complex issues of physical and economic geography of the Georgian SSR. The country's landscape science oriented research and investigation is related organically to the complex physical-geographic and economic-geographical study of this or that country. In this regard, in 1935 Al. Javakhishvili compiles the program of the Landscape course and delivers lectures at the University. In addition, in 1937-1938 he creates the templates of the regional complex research-investigation in physical geography on the example of characterization of the landscapes of Kobuleti and Makharadze Districts.

Al. Javakhishvili works also on a compilation of papers on physical-geography (landscape) of Georgia, which is very interesting not only as a successful attempt to describe the natural landscapes of Georgia, but methodologically as well.

Al. Javakhishvili develops also the significant issue, such as classification of landscape types. In addition, he distinguishes the groups of natural (physical-geographical), and which is particularly noteworthy, cultural (socio-economic) landscape types; the latter makes a distinction between basic and synthetic types.

Except the separate geographical fields, Al. Javakhishvili was doing research on the topics of theory of geographical science; for example, the structure and geographical science, etc. It also covers the relationship of the fields of physical geography – geomorphology, climatology, land hydrology, marine science, physical country-specific studies and others to the adjacent disciplines of natural science and precisely defines their subject and task. Al. Javakhishvili especially characterizes the field included into the geographical scientific system of economic geography.

At the end, Al. Javakhishvili elaborates the structural scheme of the geographical science for contemporary and future stages of its development.

Study of the geography of the nature of the territory of the Georgian SSR was intensified after the establishment of Soviet power, which put the urgent problem of revealing the geographical study of the nature of the mentioned territory before the researchers of the individual fields of geography. At the same time it was necessary to show the history of the development of geographical science of Georgian SSR. In this regard, Al. Javakhishvili publishes several researches in 1941-1961.

For development of the issues of study of geography of the territory of Georgia and geographical science, the exposure of the Georgian people's geographical heritage was necessary. In this respect the Al. Javakhishvili's works on Vakhushti Bagrationi are worth to note. By evaluation of Al. Javakhishvili the scientific value of Vakhushti's works generally is the fact that they are rare examples of geographical description of the country in the first half of the 18th-century, which is built by certain joint scientific point of view – geographical purposefulness; It also denotes the public importance of Vakhushti's geographical papers.

Al. Javakhishvili's care for the past geographical heritage is expressed in editing the other researchers' works as well.

Pedagogical activity occupies an important place in the creative work of Al. Javakhishvili as well. In 1899, before the graduation from the Moscow University Al. Javakhishvili starts his pedagogical activity at the same University, at the Department of Inorganic Chemistry, as a laboratory assistant, and then as an assistant; he works at the various higher educational institutions in Moscow as an private-professor in 1900-1917; and in 1917 he delivers the lectures in anthropology at the Moscow Women's higher courses.

In the Moscow higher educational institutions Al. Javakhishvili combines well the considerable scientific and pedagogical activities with each other. At the same time, he wins great love and respect of both the students and academic staff.

We will note just one example to characterize Al. Javakhishvili's scientific-pedagogical activity in 1900-1917. Over the eve of the December-January 1903-1904, in St. Petersburg the 3rd Congress of Russian scientists of the technical and professional education were organized by the initiative of the Russian Technical Society. Al. Javakhishvili took an active part in the work of this Congress and read the program reports about the organization of theoretical and practical trainings in the disciplines of natural sciences and pedagogical study rooms at the commercial educational institutions, which were then published in the Congress Works.

Al. Javakhishvili especially was worried about the poor condition of the initial training and educational institutions, to which he dedicates a special article in 1908.

In the spring of 1917 in connection with the moving from Moscow to Tbilisi, Al. Javakhishvili carries out a fruitful scientific and pedagogical work in Georgia (mainly in Tbilisi, as well as partially, at different times in Kutaisi, Batumi and Gori) and South Caucasus republics (Azerbaijan and Armenia). In 1917-1920 Al. Javakhishvili works at the Tbilisi Polytechnic Institute as an assistant professor, then as an extraordinary professor. Here he arranges the Department of Geography and delivers the lectures in General physical geography and the Geography of the South Caucasus.

In 1920 the Academic Board of the Tbilisi State University invites Al. Javakhishvili on the position of the professor of the newly established Department of Geography and Anthropology and assigns him a Head of the Department. Since then the scientific-pedagogical activity of Al. Javakhishvili was carried out mainly at the Tbilisi State University.

At different times Al. Javakhishvili delivered lectures at the Tbilisi State University on the following disciplines of geographical science: General physical geography, General geomorphology, General climatology, Geomorphology of Georgia, Geomorphological research methods, Geomorphological cartography, Physical geography of Georgia, General landscape science, Military geography, Teaching methods of Geography, also General physical anthropology and other disciplines. He often by himself determined the tasks and made the curricula regarding delivering these courses.

By point of view of Al. Javakhishvili, the teaching of geographical disciplines in higher educational institutions should be in line with the development of the present state of development of science. In this connection, he reviewed critically and updated the programs of the mentioned courses from time to time.

It is worth pointing separately the contribution of Al. Javakhishvili in the establishment of geomorphological and cartographical specialties at the Faculty of Geography and Geology at the Tbilisi University.

Al. Javakhishvili's Scientific - pedagogical activity is determined not only by the work with the students; since 1929 he heads the training of the Post Graduate students of the geographical specialties in geomorphology, climatology, physical country-specific studies, landscape science and cartography. He also heads the visited employees from the scientific institutions of Armenia, Azerbaijan and Dagestan; advises the scientists in preparation of their dissertations.

Al. Javakhishvili constantly cared for providing secondary schools with the geographical textbooks, maps and exercise books. As a personal contribution to this, he wrote a text-book of Physical geography of Georgia. This text-book has been translated into other languages and is published every year in Georgian, Russian, Armenian and Azerbaijanian.

Al. Javakhishvili belongs to the generation of scientists, who combined the scientific-research and pedagogical activities with very important, necessary, useful and fruitful scientific-organizational and cultural-educational works. He did so both in Moscow and in Tbilisi. In Moscow he was working for the Scientific Society of Georgia; Al. Javakhishvili is a participant of works of many scientific congresses, symposia, workshops and conferences.

Al. Javakhishvili is one of the initiators of the establishment of the Georgian doctors and natural scientists Society; he has been a member of its board for many years and actively participated in the work of this Society since 1916.

Al. Javakhishvili contributed to the establishment of the Tbilisi State University. Together with G. Ghambarashvili, Iv. Javakhishvili, I. Kipshidze, P. Melikishvili, I. Imedadze and E. Takaishvili he is one of the founders of the Tbilisi State University.

Al. Javakhishvili has worked hard on the establishment of the Geographical Society of the Georgian SSR. The real conditions for establishment of the Geographical Society of the Georgian SSR were created after the establishment of the Soviet power and it was founded in 1924 by the initiative of Al. Javakhishvili.

After the establishment of the Soviet power in Georgia the swift progress in geographical scientific-research works, higher and secondary pedagogical education required the organization of cartographical work. This issue was raised for the first time in Georgia in 1921 at the Department of Geography and Anthropology of the Tbilisi University. It is this, where the foundation was laid for this work. Later this work was extended in the Geographical Society of the Georgian SSR, where the cartographical cabinet was formed, and then – the independent Institute of Cartography, which later was merged with the Institute of Geography organized at the Tbilisi University. In 1933-1938 Al. Javakhishvili headed the works of the Scientific-Research Institute of Geography at the Tbilisi

University, and in 1945-1962 – the Vakhushti Institute of Geography of the Academy of Sciences of the Georgian SSR as their director, initiator and organizer of their foundation.

Al. Javakhishvili's scientific, pedagogical and public activities are perfect examples of the conscientious, tense and titanic creative activities for benefit to our people and the homeland. His tremendous, productive work was and is duly appreciated.

Al. Javakhishvili was awarded the Order of Lenin, two Orders of the Red Banner of Labor and the Medal "For Conspicuous Service during the Great Patriotic War 1941-1945". In 1955 the Ministry of Education of Georgian SSR awarded the badge "Excellent people educationalist".

Al. Javakhishvili has gone a very productive long way of his life and academic work. He died on January 22 of 1973 at the age of 98. The geographic community and his colleagues have lost the erudite scientist of a wide range and great experience; numerous pupils and students have lost the excellent teacher, wise counselor and mentor, as well as the incredibly loving and generous person.

Personally, Al. Javakhishvili was a very modest and unassuming man; he was always ready to meet to anyone who wanted to meet him. His office at the institute of Geography (of which he was Director) was open to all colleagues at any time, and at Tbilisi University his students and young researchers could get his advice and scientific consultation in the library of geography (now bearing his name), where his desk stood in an inconspicuous place in the large reading hall.

Al. Javakhishvili's sound judgment and open character deserved profound respect. Despite his advanced age he was a progressive thinker and clearly saw the future prospects of geographical science.

The amount of work Al. Javakhishvili conducted for the benefit of science and knowledge is more than one man could normally be expected to do, therefore, he can be regarded, together with Vakhushti Bagrationi, as the

founder of geography in Georgia. Future generations will appreciate him as we do now.

K. Kavrishvili
Sh. Kipiani

Translator Nino Chikhradze

**ალექსანდრე ჯავახიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის
ძირითადი თარიღები**

- 1875 წ. 5 (17) აგვისტოს დაიბადა გორში, მოსამსახურის ოჯახში.
- 1883-1887 წწ. სწავლობდა თბილისის სათავადაზნაურო ქართულ დაწყებით სასწავლებელში.
- 1887-1895 წწ. სწავლობდა თბილისის ვაჟთა მე-2 კლასიკურ გიმნაზიაში, რომელიც დაამთავრა წარჩინებით (მედლით) და მოსკოვის უნივერსიტეტში სტიპენდიის დანიშვნით.
- 1895-1900 წწ. სწავლობდა მოსკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტში ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილებაზე, რომელიც დაამთავრა პირველი ხარისხის დიპლომით და დატოვებულ იქნა საპროფესოროდ მოსამზადებლად.
- ირიცხებოდა მოსკოვის ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს წევრად.
- 1898-1914 წწ. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრია.
- 1899-1914 წწ. მუშაობდა მოსკოვის უნივერსიტეტში ჯერ ლაბორანტად, შემდეგ ასისტენტად პროფესორებთან: ა. პ. საბანეევთან, ა. ნ. რეფორმატსკისთან და ი. ა. კაბლუკოვთან.
- 1900-1910 წწ. მუშაობდა მასწავლებლად მოსკოვის კომერციულ სასწავლებელში პროფ. ა. ნ. რეფორმატსკისთან.
- 1900-1914 წწ. მუშაობდა ასისტენტად მოსკოვის ტექნიკურ სასწავლებელში პროფ. ა. ნ. რეფორმატსკისთან.
- 1900-1916 წწ. მუშაობდა ასისტენტად, შემდეგ პრივატ-დოცენტად მოსკოვის ქალთა უმაღლეს კურსებზე პროფ. ა. ნ. რეფორმატსკისთან.
- მუშაობდა მასწავლებლად მოსკოვის ქალთა გიმნაზიაში.
- მოღვაწეობდა მოსკოვის უნივერსიტეტთან არსებულ ბუნებისმეტყველების, ანთროპოლოგი-

- ისა და ეთნოგრაფიის მოყვარულთა საზოგადოების ანთროპოლოგიურ, ქიმიურ, ეთნოგრაფიულ და გეოგრაფიულ განყოფილებებში.
- ხელმძღვანელობდა მოსკოვის უნივერსიტეტთან არსებულ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქართული კულტურის მოყვარულ სტუდენტთა წრის მუშაობას.
 - ხელმძღვანელობდა მოსკოვის კომერციულ სასწავლებელთან არსებულ აკაკი წერეთლის სახელობის ქართული კულტურის მოყვარულ სტუდენტთა წრის მუშაობას.
 - ხელმძღვანელობდა მოსკოვის ქალთა უმაღლეს კურსებთან არსებულ სტუდენტთა საბუნების-მეტყველო სამეცნიერო წრის მუშაობას.
- 1903 წ. 6 მარტს არჩეულ იქნა რუსულ ფიზიკა-ქიმიის საზოგადოების ქიმიური განყოფილების წევრად.
- 18 ოქტომბერს არჩეულ იქნა მოსკოვის უნივერსიტეტთან არსებულ პედაგოგიურ საზოგადოების წევრად.
